

მთავარი ჟურნალისტური გამოძიება კარმიდამო ჩემი 21-ს ქვევით G-NEWS TV სიახლეები

მთავარი თემა პოლიტიკა საზოგადოება ეკონომიკა სამართალი მკითხველი კულტურა სპორტი აკილო გაზეთის PDF ვერსია

განცხადებები

კონტაქტი

ფინანსური ანგარიში

ბლოგები

თამაშები



"ეს გახლავთ რუსულ-ქართული ენერგომედიის პროდუქტი!"

თამარ ლეფსვერიძე, ოთხშაბათი, 15 თებერვალი 2012 10:14

Tweet 0 Like 11

_ არა დიდ კაშხლებს! _ ასეთი მესიჯი გაუგზავნა საზოგადოებამ ხელისუფლებას, რომელმაც 2012 წელი გიგანტური კაშხლებისა და ჰესების მშენებლობის წლად გამოაცხადა. ხუდონის ჰესი, ნენსკრას ჰესი, ნამახვანის ჰესების კასკადი, აჭარისწყლის ჰესების კასკადი, ჭოროხის ჰესების კასკადი, დარიალის ჰესი და სხვა _ ამ პროექტების გახორციელების შედეგად, წყლის ქვეშ აღმოჩნდება ისედაც მცირემწიანი ქვეყნის სულ მცირე, 2000 ჰექტარი ფართობი, ნაყოფიერი სავარგულეები, უძველესი ქართული სოფლები, კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა; გადაგვარდება რიონის, ენგურის, თერგისა და სხვა მდინარეთა ხეობები, განადგურდება აქ არსებული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება; დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო. ეს პროექტები კიდევ უფრო მეტად დააზიანებს ისედაც სავანგამოდ დაზიანებულ სასიცოცხლო სივრცეს და დააჩქარებს ეკოლოგიურ კატასტროფას საქართველოში.

"გურია ნიუსი" ამ საკითხებთან დაკავშირებით "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" წევრს ლაშა ჩხარტიშვილს და ფრაქცია "ერთობა სამართლიანობისთვის" თავმჯდომარეს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესაუბრა.

ლაშა ჩხარტიშვილი: _ ამ პროექტების გახორციელება ნიშნავს საქართველოს ისტორიული მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილის დატბორვას. თუკი სააკაშვილის ეს ბარბაროსული გეგმა გახორციელდება, ამ მდგომარეობაში აღმოჩნდება სვანეთის ათობით სოფელი, ლეჩხუმის, რაჭის, მთიანი აჭარისა და იმერეთის ტერიტორიები.

გარდა იმისა, რომ დაიტბორება ისტორიული ძეგლები, სასაფლაოები, საცხოვრებელი ადგილები და ადამიანები ლტოლვილები გახდებიან, დამატებით სხვა უფრო დიდი საფრთხეებიც არსებობს. ჩვენ სეისმოლოგიურად აქტიურ ზონაში ვცხოვრობთ და ზედმეტი მასშტაბური რისკების შექმნა ყოველდღე გაუმართლებელია. მით უფრო გაუმართლებელია საომარი მოქმედებების დროს, რადგან ამით ზედმეტი სამიზნეები ჩნდება. ვფიქრობ, გასაგებია, რომელ სახელმწიფოს ვუვლისხმობ, როდესაც ამ რისკვაქტორზე ვსაუბრობ. ვის ინტერესებს ემსახურება ეს ყველაფერი და რატომ არ ეშინიათ ფრონტის ხაზზე მაგალითად, ხუდონის მშენებლობის?! ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემა და სხვა დროს, ცოტა მოგვიანებით, აუცილებლად მოგახსენებთ ამაზე.

_ თქვენი საუბრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად რუსეთის ფაქტორზე მიუთითებთ. რა კავშირი აქვს რუსეთს ამ პროექტთან და ვისი ბიზნესინტერესებია ჩადებული?

_ რა კავშირი აქვს და პირდაპირი. ამას რუსები ამენებენ. სააკაშვილის ეს გეგმა გახლავთ რუსულ-ქართული ენერგომედიის პროდუქტი.

"დარიალი ჰესის" მშენებლობა ხეობას და მის ეკოსისტემას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. შენდება ჰესები, დერივაციულ კაშხალზეა საუბარი. მისი კალაპოტის შეცვლასაც გეგმავენ და გვირავში მოექცევა თერგის დაახლოებით რვაკილომეტრიანი მონაკვეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ თერგი აღარ გვექნება. თუ ჩვენ არ გვექნება არც თერგი, არც მტკვარი, სვანეთი, რაჭა, ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ბუნებრივია, აღარ გვექნება საშობლო.

ამასთან, საუბარია ტყეების მასობრივ გასხვისებაზე, რომლის კანონპროექტი უკვე პარლამენტში შედის და პირწმინდად ჭრას უშვებს, რაც მეწყერის ტოლფასია.

_ რა მოყვება ხუდონის ჰესისა და დარიალის ჰესის მშენებლობას და რა საფრთხის წინაშე დადგება მოსახლეობა?

_ ერთ-ერთი კაშხლიანი ჰესი, რომელიც მდინარე ენგურზე უნდა აშენდეს, ხუდონის ჰესია. 200-მეტრიანი კაშხლის აშენების შემთხვევაში, წყლის ქვეშ აღმოჩნდება 530 ჰექტარი ფართობი ტერიტორია, მათ შორის ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეები, ტყის მასივები, სასაფლაოები, ეკლესია, ხაიმის ციხე. რაც შეეხება მოსახლეობას, 525 ოჯახი უნდა გადასახლდეს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: _ ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის გახორციელება გულისხმობს მდინარე რიონზე სამი კაშხლის აშენებას. მისი გავლენის ქვეშ მოექცევა 924 ჰექტარი ფართობის ტერიტორია, მათ შორის, ტვიშის ვენახები. ამ გეგმის გახორციელების შემთხვევაში, გადასახლება მოუწევს 213 ოჯახს.

აჭარაში დაგეგმილი ექვსი ჰესის მშენებლობის შემთხვევაში კი, წყლის ქვეშ აღმოჩნდება 735 ჰექტარი ფართობის ტერიტორია. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულეები, სამოვრები, ტყის კორომები.

_ ბატონო დიმიტრი, "შწვანე ალტერნატივის" მიერ გამართულ შეხვედრაზე, ერთ-ერთმა მომხსენებელმა, კახა მაქაცარიამ გააჟღერა ინფორმაცია, რომ ჯერ კაშხლები შენდება და მხოლოდ შემდეგ, ფორმალურად იქმნება პროექტები. მან ასევე პროექტის გატაცების ფაქტებიც ახსენა. რა კომენტარს გააკეთებდით ამაზე?

_ რაც მოვისმინე "შწვანე ალტერნატივის" შეხვედრაზე, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც აღმოჩნდა, 2008 წელს, სამართლებრივი კვლევითი ინსტიტუტის ჰიდროპროექტის არქივიდან წაღებულ იქნა ყველა პროექტი, რომელიც 20-30 წლის მანძილზე მუშავდებოდა და საქართველოს ტერიტორიაზე კონკრეტულ სამუშაო ნაგებობებს შეეხებოდა. ჩვენ ბრალდების მხარედ ვერ გამოვალით ამ განცხადების საფუძველზე, თუმცა ეს განცხადება არის საფუძველი იმისა, რომ მოვითხოვთ საგამომიბუო კომისიის შექმნა. ამ

"ეს გახლავთ რუსულ-ქართული ენერგომავის პროდუქტი!"

კონკრეტულ ფაქტებს გამოვაშვარებთ, ვინაიდან არსებობს ვარაუდი, რომ საქმე შეიძლება შეეხებოდეს ფართომასშტაბიან საბოტაჟს სახელმწიფოს წინააღმდეგ, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების თაღლითურ სქემას. საუბარია იმაზე, რომ აქ შემუშავებული პროექტები გადიოდა აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში. იქ მუშავდებოდა სამგანზომილებიან ფორმატში და შემდგომ, უკანვე ხდებოდა მისი შესყიდვა.

_ ანუ ჩვენთან გაკეთებულ პროექტებს ყიდდნენ და შემდეგ ისევ ყიდულობდნენ?

_ სწორედ ეგ ვარაუდი იქნა გამოთქმული მაქაცარიას მიერ.

ჩვენ, ბუნებრივია ვსვამთ კითხვას, _ მოქმედებს თუ არა ხელისუფლება ორმაგი სტანდარტით?! ერთის მხრივ ის ამბობს, რომ საქართველო არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებზე, მეორეს მხრივ კი დღეს ქვეყნის ენერგოგენერაციისა და ელექტროსისტემის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დარეგისტრირებული კომპანიებია. დანარჩენი 4% არის სადღაც ოფშორებში. ბუნებრივია, ეს ბაზებს საფუძვლიან ექვს, რომ ხელისუფლება მოქმედებს არა სახელმწიფო სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, არამედ მას აქვს შორს მიმავალი გეგმა. / _ ასეთი ზემადალი კაშხლების მშენებლობის კაპიტალდაბანდება კოლოსალურ თანხას უკავშირდება. // – მთავარი გენერაციის პროდუქტი არ არის საქართველოსთვის შეღავათის მომტანი. ეს ყველაფერი უნდა მოხმარდეს მზარდი ეკონომიკის განვითარებას აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში _ კერძოდ, თურქეთში.

თურქეთს გააჩნია ძალიან მზარდი ეკონომიკა, მაგრამ სერიოზული დეფიციტი აქვს ენერგოსისტემაში. მოგეხსენებათ, თურქეთში 5-ჯერ ძვირია 1 კვტ. სიმძლავრე ვიდრე საქართველოში. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს ვიღაცამ გადაწყვიტა საქართველო აქციოს ერთი ელექტროგენერაციის ორ ობიექტად. საიდანაც წარმოშობილი ელექტროენერგია კარგად გაიყიდება თურქეთსა და ევროპის სახელმწიფოებში.

_ გარდა კორუფციული ბიზნეს-გარიგებებისა, საუბარია ადამიანების ეკომიგრანტებად ქცევაზე. რეალურად დავდგებით ამ საფრთხის წინაშე?

_ ეს აუნაზღაურებელი ზარალი იქნება. ლეჩხუმში ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად ათეულობით სოფელი უნდა განადგურდეს. 2000-2500-მა ადამიანმა უნდა დატოვოს თავისი ისტორიული საცხოვრებელი, მამა-პაპისეული ადგილი და გახდეს ეკომიგრანტი.

რასაც აჭარაში გეგმავენ, ყველანაირ ზღვარს სცილდება თავისი შესაძლო პოტენციური ეკოლოგიური კატასტროფებით. ამ ყველაფერს მთელი საზოგადოება უნდა აღუდგეს წინ. ჩვენ თუ შევძელით და 1988 წელს შევაჩერეთ საქართველოს ტრანსკავკასიური მაგისტრალის პროექტი, დღესაც უნდა გვეყოს ძალა ვუთხრათ არა დიდ კაშხლებს!



მასალების გამოყენებისას აუცილებელია წყაროს მითითება

1065050
3203
TOP.GE 1178